ომით დაზარალებული დევნილი მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობა

მერი ხობუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა - ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი: მერი ხობუა

ხელმოწერა

თარიღი: 26.06.2019

აბსტრაქტი

საომარი მოქმედებების შედეგად იძულებით გადაადგილება და დევნილთა ფსიქიკური ჯანმრთელობა მსოფლიო მასშტაბის პრობლემაა. იძულებით გადაადგილებული პირების (იგპ-ების) რაოდენობა 24 მილიონზე მეტს შეადგენს და მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, შესაბამისად, გაზრდილია დევნილთა ფსიქიკური მდგომარეობის და მასზე ზემოქმედების მქონე ფაქტორების კვლევის საჭიროება.

მკვლევარები კონფლიქტს დაქვემდებარებული მოსახლეობის შესაწავლისას კონცენტრირდებიან უფრო ფსიქიკური აშლილობის მიზეზებსა და აშლილობის ნიშნებზე, ვიდრე ჯანმრთელობის დამცავ ფაქტორებზე. უმეტესი კვლევა ჩატარებული არის მაღალ შემოსავლიან ქვეყნებში (ლტოლვილ პოპულაციაზე), ვიდრე საშუალო და დაბალშემოსავლიან ქვეყნებთან. ჩვენს კვლევაში მთავარი აქცენტი გაკეთებულია საქართველოს შიგნით იგპ-თა ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და დამცავ ფაქტორებზე, რამდენადაც გვაკლია მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონაცემები ამ კუთხით.

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება მეორადი მონაცემების ანალიზს. გავრცელებული ფსიქიკური აშლილობების კვლევა ჩატარდა 2013 წელს იგპ-თა სამ ჯგუფზე: ე.წ. 1990-იანი და 2008 წლების დევნილებსა და ასევე, ე.წ. დაბრუნებულებში (2008 წლის დევნილები, რომლებიც დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილს). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 3600-მა რესპოდენტმა, 1200 თითოეულ სამიზნე ჯგუფში (Makhashvili, 2014).

მოცემულ ნაშრომში გამოვიკვლიეთ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სუბკლინიკური/კლინიკური მდგომარეობების კავშირი ისეთ ფაქტორებთა/ცვლადებთან, როგორიცაა - საცხოვრებელი ადგილი, დასახლების ტიპი, სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, განათლება, უსაფრთხოების განცდა, სომატური ჩივილები და კეთილდღეობის განცდა.

მეორეული მონაცემების დამუშავების შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი დამცავი და რისკ ფაქტორებისა. 18-59 წლამდე ასაკობრივი ჭრილი, უმაღლესი

განათლების ქონა, კეთილდღეობის მდგომარეობის განცდა დაუკავშირდა უკეთეს ფსიქიკურ ჯანმრთელობას. აღმოჩნდა, რომ საცხოვრებელი არეალი და დასახლების ტიპი არაერთგვაროვან როლს ასრულებს დევნილთა სხვადასხვა ჯგუფში. მნიშვნელოვანი კავშირი დაფიქსირდა ნაკლებ სომატურ ჩივილებსა და ფსიქიკურ ჯანმრთელობას შორის. რაც შეეხება უსაფრთხოების განცდასა და ოჯახურ მდგომარეობას, არ დადგინდა კონკრეტული ტენდენციები.

მნიშვნელოვანია ფჯ-ის დამცავი ფაქტორების განხილვა და გათვალისწინება, დევნილთა პოპულაციების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შემუშავებისას, რათა გაძლიერდეს იგპ-თა მედეგობა ფსიქიკური პრობლემების მიმართ და მოხდეს პრევენცირება შემდგომი ფჯ გართულებებისა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საქართველო; იძულებით გადაადგილებული პირები; ფსიქიკური ჯანმრთელობა; დეპრესია; პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა (პტსა); შფოთვა; გამკლავება; კლინიკური და სუბ კლინიკური მდგომარეობები; კეთილდღეობა;

Abstract

Forced migration after armed conflicts and war affects mental health of internaly displacesd persons and is one of the biggest problems of the international community. Globally, there are over 24 million internaly displaced persons (IDPs) and their number rises anually. Accordingly, there is an increased need for research of IDPs mental health needs and factors affecting their conditions.

Researchers of conflict-affected population concentrate more on causes and symptoms of mental disorders and less on protective factors of mental health. Most of the research on protective factors are done in high-income countries (and among refuge populations), compered to low and middle-income countries. Thus, main focus of our study is the mental health of IDPs in Georgia and protective factors against mental disorders, as we lack data in this field.

Presented work is based on secondary data analyses. Research on common mental disorders was implemented in 2013, on three group of IDPs: those displaced as a result of conflicts in the 90s (90s IDPs), those displaced after the 2008 conflict (2008 IDPs), and former 2008 IDPs who have returned to their home areas (Returnees). A total sample size was 3,600 men and women. Each target group consisted of 1,200 respondents from each of the three main conflict-affected populations in Georgia.

In our work we examined association of mental helth, subclinical and clinical conditions to such variables/factors, as residence area, settlement type, gender, age, merital status, education, sense of safety, somatic complaints and well-being.

Secondary data analyses found a full range of protective and risk factores. 18-59 age range, having higher education and sense of well-being was positively associated to mental health. Results about protective and risk factors varied depending on residency area and settlement type. Significant negative association was found among somatic constraints and mental helth, whereas sense of safety and merital status did not show any statistically significant tendencies.

It's important to consider and take into consideration protective factors, while designing

and implementing psychosocial programs on mental helth of IDPs, for strengthening resilience of war-affected populations and effectively prevent later mental health deterioration.

მადლობა

მინდა მადლიერება გამოვხატო ჩემი თემის ხელმძღვანელის, ქ-ნი ნინო მახაშვილის მიმართ, დროული და მნიშვნელოვანი უკუკავშირისა და მხარდაჭერისათვის, ასევე, სტატიების მოძიებაში დახმარებისთვის. მადლობას ვუხდი ჩემს მეგობრებს, რომლებმაც ფასდაუდებელი დახმარება გამიწიეს მუშაობის პროცესში.